სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N1.1/ 120

ქ. თბილისი

17.09.2019 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 55-ე და 57-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, **„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმების წესი"** წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი. მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მენეჯერის უმაღლესი განათლების მიმართულებით - სოფიო უგრეხელიძის 2019 წლის 17 სექტემბერის N1218444 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსი **დიმიტრი ბერიძე**

დანართი

დამტკიცებულია:
სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის
2019 წლის 17 სექტემბრის N1.1/120 ბრძანებით

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადების დროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებული ადგილების ჯამური რაოდენობის შესაბამისობის შემოწმებისას, ჯამურად გამოსაცხადებელი ადგილების დასაშვები ზღვრული რაოდენობის გამოსათვლელად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას:

ა) აკლდება:

ა.ა) საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ანკეტა-კითხვარის დადასტურების დღისათვის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა;

ა.ბ.) სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტსა და აბსოლუტური ქულებით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით - მიმდინარე წელს მისაღები სტუდენტების რაოდენობა;

ა.გ.) მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით შესაბამის წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარდგენილ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით - სამაგისტრო პროგრამებზე განსაზღვრული ადგილების ჯამური რაოდენობა;

ა.დ.) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" შესაბამისად მიმღები დაწესებულების მირ წარმოდგენილ სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტში მითითებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით - მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში მობილობით ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობა;

ბ) ემატება:

ბ.ა.) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით" გათვალისწინებულ ელექტრონულ პორტალში მითითებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით - მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში მობილობით სხვა დაწესებულებაში გადამსვლელ სტუდენტთა რაოდენობა.

უფროსი **დიმიტრი ბერიძე**